ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2418 (2022)[1]

1. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთი ქვაკუთხედი და ძირითადი ღირებულებაა, რომელსაც ევროსაბჭო უჭერს მხარს. სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატულებისა და სექსუალური მახასიათებლების ნიშნით დისკრიმინაციას ისევე უნდა ვებრძოლოთ, როგორც ნებისმიერი სხვა ნიშნით განხორციელებულ დისკრიმინაციას. ეს ვრცელდება ევროპის საბჭოს წევრ ყველა ქვეყანაზე.

2. ამჟამად, ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ლგბტი ადამიანების მდგომარეობა და მათი უფლებების პატივისცემა სხვადასხვაგვარია. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების დაცვისა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის ეფექტურობის დონე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყენაში. ეს უთანასწორობა უნდა აღმოიფხვრას. ყველა წევრი სახელმწიფო პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

3. ასამბლეა მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს კულტურული და რელიგიური ტრადიციები არ შეიძლება, გამოყენებული იყოს სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვისა და სექსუალური მახასიათებლის ნიშნით დისკრიმინაციის გასამართლებლად. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თითოეული ხელმომწერი სახელმწიფო ვალდებულია, მათ შორის, კონფლიქტის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებით, უზრუნველყოს ძირითადი უფლებებით სარგებლობის გარანტიები. გარდაუვალი არ არის, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებასა და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას შორის შეუსაბამობა იქნება. შესაბამისად, საჯარო ღონისძიებები, რომლებიც ლგბტი ადამიანების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავს მიზნად, მაგალითად, ლგბტი პრაიდის მარში, არ წარმოადგენს იმ პირთა უფლებების დარღვევას ან შეზღუდვას, რომლებიც არ ეთანხმებიან მათ.

4. საპარლამენტო ასამბლეას აღელვებს ლგბტი ადამიანების მდგომარეობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში და აღნიშნავს, რომ დადგინდა ან სავარაუდოა ლგბტი ადამიანების უფლებათა მრავალი დარღვევა. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტური კანონმდებლობა და პოლიტიკა, რათა გაამლიერონ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვისა და სექსუალური მახასიათებლის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ მოქმედება.

---

[1] https://pace.coe.int/en/files/29711/html?fbclid=IwAR1zeDvESUzVAwKNoHKXKgbuNO6_3ZpuYFxSU8rveerx5SE1OFh8KDUaS3Q

5. მიუხედავად ამისა, ასამბლეა მიესალმება დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს ისეთი კანონმდებლობის მიღების მეშვეობით, რომელმაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშანი დისკრიმინაციის სხვა აკრძალულ საფუძვლებს მიამატა და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ლგბტი-ფობიის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა. ეს ხაზს უსვამს კანონმდებლობის სრულად განხორციელების მნიშვნელობას, რაც რეგიონის ყველა ქვეყნისთვის დადებითი მაგალითია.

6. ასამბლეა ასევე მიიჩნევს, რომ სომხეთში დემოკრატიული გარდაქმნის პროცესის შესაძლებლობას, რომელიც არ უნდა იქნას ხელიდან გაშვებული, რათა გაძლიერდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა და დისკრიმინაციასთან, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის და სექსუალური მახასიათებლის ნიშნით დისკრიმინაციასთან ბრძოლა.

7. ევროპის საბჭო მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების პროცესს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის საკითხებში, რომლებიც ხორციელდება ეროვნულ ხელისუფლებებთან მოლაპარაკებით და მხედველობაში იღებს მონიტორინგისა და სტანდარტების დამდგენი ორგანოების, მათ შორის რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) დასკვნების; გარდა ამისა, ღონისძიებები, რომლებიც კონკრეტულად ლგბტი ადამიანების უფლებებს ეხება.

9. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასამბლეა მოუწოდებს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ხელისუფლებებს:

9.1 უზრუნველყონ ლგბტი ადამიანების უფლებების მხარდამჭერი ღონისძიებების გამართვა, როგორიცაა ლგბტი პრაიდის მარშის უსაფრთხოდ ჩატარება და მონაწილეების დაცვა ნებისმიერი ძალადობისგან;

9.2 ხელი შეუწყონ მედიისა და პარლამენტის წევრების ქცევის კოდექსების მიღებას, რომლებიც აკრძალავს ლგბტი ადამიანების მიმართ სტიგმის გამომწვევი და დისკრიმინაციული კომენტარებისა და სიძულვილის ენის გამოყენებას, გამოიყენებს საპირისპირო ნარატივების ლგბტი-ფობიური სიძულვილის ენის წინააღმდეგ საბრძოლველად;

9.3 გარანტირებული იყოს მედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა და მისი პერსონალის უსაფრთხოება;

9.4 განხორციელდეს ეფექტური გამოძიება და ბრალდება ლგბტი ადამიანების მიმართ ძალადობის საქმეებზე;

9.5 მიიღონ და განახორციელონ სამოქმედო გეგმები სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვისა და სექსუალური მახასიათებლების საფუძველზე დისკრიმინაციის შესახებ, ლგბტი ადამიანების

უფლებებისა და მათი ცხოვრების პირობების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებისა და ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ სოციალური გარიყულობის, სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციისა და ბრძოლის მიზნით;

9.6 გაზარდონ ხელმისაწვდომობა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანდაცვასა და ინფორმაციაზე და აამაღლონ ცნობიერება სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ;

9.7 დანერგონ თვითგამორკვევაზე დაფუძნებული სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურები, რომლებიც ტრანსგენდერ პირებს საშუალებას აძლევს, შეიცვალონ სახელი და სქესი დაბადების მოწმობებში, პირადობის მოწმობებში, პასპორტებში, დიპლომებსა და მსგავს დოკუმენტებში; უზრუნველყოს, რომ ასეთი პროცედურები იყოს მკაფიო და ამაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები სათანადოდ იყოს განსაზღვრული;

9.8 უზრუნველყონ სექსუალური განათლების ყოვლისმომცველი სწავლება სკოლებში და უზრუნველყოფილი იყოს, რომ ეს მოიცავს გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის თემას, ინკლუზიური მიდგომის გათვალისწინებით;

9.9 ლგბტი ადამიანების საკითხზე ჩაატაროს საჯარო ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, რომელიც მიმართულია ცრურწმენებისა და სტიგმატიზაციის წინააღმდეგ.

9.10 ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა შესახებ განათლებას ყველა საჯარო დაწესებულების დაინტერესებული თანამდებობის პირებისა და სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოებისთვის გენდერის, ინკლუზიისა და სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვისა და სექსუალური მახასიათებლების ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხების გააზრების ხელშეწყობის მიზნით.

9.11 სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების წევრებს შესთავაზონ სპეციალური და განგრძობადი ტრენინგი ლგბტი ფობიის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის დანაშაულის შესახებ;

9.12 შექმნან ჩარჩო ამ სფეროში სისხლის სამართლის პროცესისა და სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტურობის შესახებ;

9.13 გაზარდონ ომბუდსმენის როლი და უფლებამოსილებები, უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობა; გაზარდონ ამ ინსტიტუტების დაფინანსება, რათა მათ სრულიად დამოუკიდებლად შეასრულონ ყველა ამოცანა და უზრუნველყონ, რომ ეს ამოცანები მოიცავდეს ლგბტი ადამიანების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას;

9.14 გააგრძელონ და გააძლიერონ თანამშრომლობა ევროპის საბჭოს შესაბამის ორგანოებთან, მათ შორის ECRI და SOGI ნაწილებთან; მხარი დაუჭირონ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით დაწყებული სამოქმედო გეგმების განხორციელებას;

9.15 გააძლიერონ თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების დასაცავად, მათ შორის ლგბტი ადამიანების უფლებების დასაცავად; უზრუნველყონ მათი დამოუკიდებლობა და დაიცვან მათი და მათთან მომუშავე ადამიანების უსაფრთხოება; გამართონ კონსულტაციები ამ ორგანიზაციებთან ანტიდისკრიმინაციული აქტივობების შემუშავების, განხორციელებისა და მათი გავლენის შეფასებისას;

9.16 იმსჯელონ სპეციალური ღონისძიებების შემუშავებაზე ლგბტი ადამიანების, განსაკუთრებით ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების სოციალური და პროფესიული ინტეგრაციისთვის მიზნით;

9.17 შესაბამისი კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიღების მეშვეობით შეასრულონ წევრი სახელმწიფოებისთვის განკუთვნილი 2010 წლის ,,რეკომენდაცია CM/Rec'' სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მინისტრთა კომიტეტის მიერ ჩატარებულ პერიოდულ განხილვის პროცესში;

10. კერძოდ, ასამბლეა იწვევს სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებს, რომ:

10.1 მიიღონ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა დისკრიმინაციის საფუძვლებისათვის სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვისა და სექსუალური მახასიათებლების ნიშნების დამატებით;

10.2 სიძულვილის ენისა და სიძულვილის დანაშაულებისაგან ადამიანების დასაცავად მიიღონ სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლის სამართლებრივი სტანდარტები;

10.3 დაამატონ ლგბტი ფობია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, როგორც დამამძიმებელი გარემოება;

11. ასამბლეა მოუწოდებს სომხეთის ხელისუფლებას, შეწყვიტოს ჰომოსექსუალობის, როგორც ფსიქიკური დაავადების განხილვა იურიდიული, ადმინისტრაციული, ჯანმრთელობისა და სხვა მიზნებისთვის

12. ასამბლეა მოუწოდებს აზერბაიჯანის ხელისუფლებას, გამოიძიონ ლგბტი ადამიანების უკანონო დაკავების შემთხვევები და აღკვეთონ და ებრძოლონ პოლიციის მიერ განხორციელებულ ძალადობას;

13. ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას:

13.1 ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში გაითვალისწინოს გენდერული გამოხატულებისა და სექსუალური მახასიათებლის ნიშნები;

13.2 უზრუნველყოს თანასწორობისა და არადისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის სრულყოფილი იმპლემენტაცია, რათა რეგულარულად განხორციელდეს მონიტორინგი; გამოუყოს ფინანსური და ადამიანური რესურსები შესაბამის უწყებებს და თანამდებობის პირებს;

13.3 შექმნას ორგანო, როგორც საჯარო და პოლიტიკურ სფეროში ლგბტი-ფობიური სიძულვილის ენის პრევენციისა და წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ნაწილი, რომელიც გამართავს დიალოგს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რათა დაამშვიდოს მისი წარმომადგენლების დამოკიდებულება ისეთი საჯარო ღონისძიებების მიმართ, როგორიცაა გეი პრაიდის მარშები და გააფრთხილოს ისინი ლგბტი ადამიანების შესახებ სტიგმის გამომწვევი კომენტარების თავიდან აცილების აუცილებლობის შესახებ.